



სალოგოზრო ვეროელი

ქართული
1921 წლის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

შანი 10 კპ.

ყოველი ერის ცხოვრებაში ღვაწა მომინ-
ტი, როდესაც მთელი სიცხადით უნდა გამო-
ჩნდეს, რა უეშქლია, რისი ღირსია ის, რო-
გორც ერი.

ქართველ ერს არაერთხელ დასდგომია
ასეთი მომენტი და ყოველთვის ღირსეუ-
ლად დაუცავს თავისი ქართველობაც და
საქართველოც.

ხვალ კიდევ ერთი ისტორიული გამოცდა
გველის. ყოველმა ჩვენთაგანმა, საქართვე-
ლოში მცხოვრებმა ქართველმა თუ არაქა-
რთველმა, ერთმნიშვნელოვნად უნდა გან-
საზღვროს თავისი დამოკიდებულება საქა-
რთველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენი-
სადმი და უკანასკნელს ერთადერთ კითხვას:

თანახმა ხართ თუ არა, აღდგენ საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის ქმნის საფუძველზე?

ვისთვისაც ძვირფასია საქართველო და
ვისაც ის საზოგადოებრივ იმედება, ვისაც მი-
სი სჯარა, ვინც მისი კეთილმოსურნაა, ვინც
მონობისათვის არაა დაგადებული, ვისთვის
არსებობს ერთადერთი პასუხი

დ ი ა ხ !

რინარდ ნიხონი თბილისში

29 მარტს საქართველოს დედაქალაქში კიევიდან სპეციალური
რეისით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი
პრეზიდენტი რინარდ ნიხონი, რომელიც არაოფიციალურ ვიზიტად
იმყოფება საბჭოთა კავშირში. მასთან ერთად ჩამოვიდნენ ამერიკა-
საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მშვიდობის საერთაშორისო
პროგრამის შემსწავლელი კარნეგის ფონდის ხელმძღვანელი დიმი-
ტრი საიმსი, ლონდონის სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო
ინსტიტუტის დირექტორი რობერტ ელსუორტი, რინარდ ნიხონის
სპეციალური თანამემყვე ტერენს პოლინგუორტი.
თბილისის აეროპორტში ამერიკის შეერთებული შტატების ექს-
პრეზიდენტსა და მის თანმხლებ პირებს დახვდნენ საქართველოს
რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგი-
ლე აკაკი ახათიანი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
საერთაშორისო ურთიერთობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე
თედო პაატაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრები: გი-
ორგი ხოსტარია და მანანა მოძუაშვილი, საქართველოს რესპუბ-
ლიკის უზენაესი საბჭოს წევრი თამაზ გამყრელიძე, თბილისის სა-
ხალხო დემუკრატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
ირაკლი ანდრიაძე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
სამდივნოს უფროსი მამუკტ ჭიპაშვილი.

საქინფორმი.

საქართველოს დამოუკიდებლობის ქმნი

საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არ-
ჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს საყოვე-
ლთაოდ აცხადებს:
I. ამიერიდან საქართველოს ხალხი ხუვერენულ უფლებათა მა-
ტარებელია და საქართველოს სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი
სახელმწიფოა.
II. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკ-
რატიული რესპუბლიკაა.
III. საერთაშორისო ომანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრა-
ლური სახელმწიფოა.
IV. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთა-
შორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყ-
ობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწი-
ფოებთან და ერებთან.
V. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრე-
ბში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო
და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუ-
ნობისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.
VI. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განეთავისუფ-
ლებს თავისუფალ ახარებს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა
ერს.
VII. დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთელი საქართველოს
მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც
შეესებულები იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით
და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.
ქ. თბილისი. 26 მაისი. 1918წ.



АКТ НЕЗАВИСИМОСТИ ГРУЗИИ

Грузинский Национальный Совет, избранный 22 ноября 1917 года Грузинским Национальным Собранием, сегодня объявляет во всеобщее сведение:
I. Отныне грузинский народ — носитель суверенных прав, а Грузия — полноправное, независимое государство.
II. Политическая форма независимой Грузии — Демократическая Республика.
III. В международных конфликтах Грузии — постоянно нейтральное государство.
IV. Грузинская Демократическая Республика желает завязать добрососедские отношения со всеми членами международного союза и в особенности с сопредельными государствами и нациями.
V. Грузинская Демократическая Республика одинаково обеспечивает в своих пределах каждому гражданину политические права, без различия национальности, вероисповедания, социального состояния и пола.
VI. Грузинская Демократическая Республика открывает свободный путь развитию каждой, населяющей ее территории, национальности.
VII. До созыва Учредительного Собрания делом управления всей Грузией ведает Национальный Совет, который будет пополнен представителями национальных меньшинств; временно же правительство ответственно перед Советом.
г. Тифлис, 26 мая 1918 г.

მიმართვა საქართველოს მოსახლეობას

თანამეამაყულანო, თქვენთ-
ვის კარგადაა ცნობილი, თუ რა
მემკვიდრეობა ჩიბარა ერის მი-
ერ არჩეულმა პარლამენტმა. სა-
ქართველოს ახალი მთავრობა
ყველა ღონეს მიმართავს კრიზი-
სული სიტუაციიდან გამოსასვლ-
ლად. გამოუვალი მდგომარეო-
ბით იყო განპირობებული ეკონ-
ომიკურ ხელშეკრულებაზე ზე-
ლის მოწერა, რადგან მხოლოდ
მისი შეწყობით იყო შესაძლებ-
ელი საქართველოსათვის სასო-
ცხლო მნიშვნელობის კვების
პროდუქტების და სახალხო მოხ-
მარების საქონლის მიღება.
პროგრამა „ერემის“ მიერ გა-
დაცემულ ინფორმაციაში აღნიშ-
ნა, რომ თითქოს ფასების გაზრ-
და შესახებ დოკუმენტზე ხელი
მოეწეროს რესპუბლიკის პარლამ-
ენტის ხელმძღვანელს და ახალი
მთავრობის თავმჯდომარეს. სინა-
მდვილეში დოკუმენტზე ხელი
აქვს მოწერილი ყოფილი მინისტ-
რთა საბჭოს თავმჯდომარის მო-
ადგილეს, ამჟამად სამსახურებრი-
ვი მოვალეობისაგან განთავისუფ-
ლებულ ო. მეღვიას.
ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ
საბჭოთა კავშირში მზადდებოდა
ეგრეთ წოდებული ფასების რე-
ფორმა, უფრო ზუსტად, ფასების
ზრდა, რომელიც წინასწარი ცნო-
ბით უნდა მომხდარიყო 1 მარტი-
დან. ცენტრმა, გაითვალისწინა რა
17 მარტის საკავშირო რეფერენ-
დუმის საბოლოო შედეგებზე ფა-
სების ზრდის მათთვის არასასურ-
ველი გავლენა, აგრეთვე 28 მარ-
ტის რუსეთის სახალხო დემუკრატ-
თა რიგგარეშე ყრილობა (ფაქტ-
ობრივად მიძღვნილი ელცინისად-
მი), სადაც ფასების ზრდა ასევე
დადებითი იქნებოდა ელცინისა-
თვის, ხოლო უარყოფითი ცენტრ-
ისათვის, მიიღო გადაწყვეტილე-
ბა მისი 2 აპრილიდან ძალაში შე-
სვლის შესახებ.
ამით ცენტრმა მოსახლე-
ობისათვის ესოდენ რთული
საკითხი თავისი პოლიტიკური მი-
ზნების განხორციელების დაუქვე-
მდებარა.
ჩვენი რესპუბლიკისათვისაც მას
გარკვეული პოლიტიკური მნიშ-
ვნელობა მიეცა. ჯერ ერთი, თანა-
სწარი მოლაპარაკების მიუხედა-
ვად, რომელიც გულისხმობდა
ფასების რეფორმის შესახებ სა-
მთავრობო დადგენილების გამოქ-
ვევებას 1 თვით ადრე, რაც მო-
გვეცემდა მოსახლეობისათვის საკ-
ომპენსაციო თანხმების უზრუნვე-
ლყოფად და ორგანიზებულად გა-
ცემის საშუალებას, სინამდვი-
ლეში დადგენილება თარიღდება
19 მარტით და საკავშირო პრესა-
ში ქვეყნდება 22 მარტს, რამაც
თითქმის შეუძლებელი გახდა
რესპუბლიკის მიერ საკუთარი შე-
ხედულებებისამებრ მთელი რიგი სა-
კომპენსაციო პოზიციების შეც-
ვლა-შეზღუდვა; მეორეც, რეს-
პუბლიკას საკომპენსაციო თანხ-
ების გარკვეული ნაწილი საკავში-
რო ბიუჯეტიდან უნდა მიეღო,
მაგრამ ეგრეთ წოდებულმა „ცე-
ნტრმა“ განიზრახა „ურჩი რესპუ-
ბლიკის“ მიმართ.

(დაახლოებით 33.)

მიმართვა საქართველოს მოსახლეობას

(დასასრული)

ბლიკების, მათ შორის საქართველოს, მატერიალურად დასაჯა და „დამყოლი“ ერთიანი ქმური ოჯახის მოსურნე რესპუბლიკების დახმარება.

საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა მოსახლეობის დახმარების ერთიანი საკავშირო-რესპუბლიკური საფინანსო ფონდი, რომელიც საქართველომ, სხვა „ურჩებთან“ ერთად, უნდა შეიტანოს 500 მილიონი მანეთი, მაშინ როდესაც მთელი რიგი „დამყოლი“ რესპუბლიკები პირიქით ხსენებული ფონდიდან ლეზულობენ ასეული მილიონობით მანეთის დახმარებას.

ყოველივე ეს ჩვენს დეფიციტურ ბიუჯეტს კიდევ უფრო ამძიმებს; მესამეც, ცენტრს საკომპენსაციო მექანიზმის მიმართ მხოლოდ რეკომენდაციები უნდა მიეცა, საკომპენსაციო თანხები კი გაიცემოდნა გამსხვილებული მაჩვენებლებით, ე. ი. უფრო მობილური მექანიზმით. სინამდვილეში კომპენსაციების მთელი სისტემა ისეა აგებული, რომ არ შეიძლება გაართულოს, გრძელვადიანი ვახადის ფულადი სახსრების მოსახლეობაზე გაცემა. ყოველივე ეს მათი აზრით, თითქოს გარკვეულ ნეგატიურ გავლენას მოადენს 31 მარტის არჩევნებზე და იმავე რიცხვში და-

ნაწილური რეფერენდუმის შედეგებზე.

საქართველოს მოსახლეობას ყოველთვის შესწევდა რთულ პოლიტიკურ საკითხებში გარკვევის უნარი. ასეა ახლაც. თბილისის სოციალური კვლევის ცენტრის მიერ გამოკითხული მოსახლეობის 71 პროცენტი თვლის, რომ საბჭოთა კავშირში ეკონომიკური კატასტროფა გარდაუვალია და ამას ფასების რეფორმა ვერ უშველის, 74 პროცენტი მიაჩნია, რომ ფასების რეფორმა უარყოფით გავლენას მოახდენს მათი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე; 41,5 პროცენტი თვლის, რომ ფასების რეფორმა უარყოფით შე-

გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.

ეგრეთ წოდებული „ცენტრის“ მიერ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის წინააღმდეგ მიმართული ქმედება გვაფიქრებინებს, რომ უნდა დავაჩქაროთ საკუთარი ეროვნული ფულის ნიშნების შემოღება. იმედს გამოვთქვამთ, რომ ამავდროულად, დღევანდელი ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, მხარში ამოგვიდგება თითოეული მოქალაქე, როგორც ეს მოხდა ეროვნული გვარდიის შექმნისას.

დღეს საქართველოს მოსახლეობის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა ენიჭება ყველა იმას, ვისაც ევალება მოსახლეობისათვის კომპენსაციების დადგენა და გაცემა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული მოქალაქის შეგნებულ მდგომარეობას რთული საკითხისადმი.

თავის მხრივ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რესპუბლიკის მთავრობა ყველა შესაძლო ღონისძიებას განახორციელებენ, რათა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს საცალო ფასების მომატების პროცესმა.

გვერთა, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა მონაწილეობას მიიღებს 31 მარტის არჩევნებში და რეფერენდუმში და მხარს დაუჭერს საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

მხოლოდ საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა იქნება ეკონომიკის აღმავლობის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების უტყუარი გარანტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.
1991 წლის 28 მარტი



28 მარტს პოლიტიკურმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ გამართა მიტინგი მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედანზე.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ბატონმა თემურაზ ჭორიძემ. მიტინგი დალოცა მამა გრიგოლმა. ეს მრავალათასიანი შეკრება მიუძღვნა მომავალ რეფერენდუმსა და საქართველოს არჩევნებს, რომლებიც გაიმართება 31 მარტს.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პელსინკის კავშირისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

— დღევანდელი მიტინგი ეძღვნება უადრესად აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც დღეს ჩვენი

ერის წინაშე დგას, — თქვა მან, — დღეს ჩვენი შეკრება ეძღვნება აგრეთვე რუსეთის სახალხო დეპუტატთა საგანგებო ყრილობას და მიტინგს მოსკოვის მანეჟის მოედანზე. დადგა გადამწყვეტი ეპიზოდი, წყდება იმპერიის ბედი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნანატრი თავისუფლება მოახლოვდა. მაგრამ ცენტრი, რომელიც არ სურს დათმოს თავისი დეპუტატურა და გორბაჩოვის ხელისუფლება, არ ავლენენ რეალისტურ მიდგომას შექმნილი სიტუაციისადმი და ისევ ჭავჭავაძის სპორტიორებისა და ტანკების არგუმენტი მოიშველიეს. ხომ ვიტყვით ისტორიიდან, რომ, როცა საქმე სამხედრო ძლიერებით ხელისუფლების თავდაცვაზე მიდგება, ის მთავრობა განწირულია დასაღუბავად. გვაოცებს, რატომ ვერ ისწავლეს ეს გამოცდილება კრემლის ხელმძღვანელებმა. ამ წუთში მოსკოვში მანეჟის

მოედანზე განლაგებულია უდიდესი სამხედრო ტექნიკა. მაგრამ ეს ტექნიკა ვერ დაიცავს იმპერიას, თუნდაც მან მთელი მსოფლიოს ტექნიკა მოიხმოს საშველად. და თუ მოხდება ისე, რომ იგი მაინც შეძლებს გაიხანგრძლივოს არსებობა, მას დეკორატიული ხელისუფლება დარჩება, რეალური კი აუცილებლად გადავა თავისუფალი რესპუბლიკების ხელში.

ისტორიული ლოგიკაა: ყოველივე დრომოქმედი, რეაქციული, უგულვებელყოფილი ხალხის მიერ, წარმატებულია. დღეს დემოკრატიული ხანაში, ცენტრი ვერაფერს გააკვირვებს თავისი ფსევდოდემოკრატიით. დღეს იგი ქმნის ისეთ ილოუსიას, თითქოს დასაგლეშის ერწმუნოს გორბაჩოვისეული დემოკრატიზმი და ე. წ. „პერესტროიკა“. პირიქით, დასაგლეშით დღეს რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან ამყარებს კონტაქტებს.

ამის ნათელი დადასტურებაა, ათინიშნა მიტინგზე, რომ 30 მარტს საქართველოში გვეწვევა ინგლისის ელჩი ოფიციალურ ვიზიტად. უკვე იყო საქართველოში შეეცის ელჩი, ჩვენთან ჩამოდის ამერიკის ექსპრეზიდენტი ბატონი ნიქსონი, რომელიც წარმოადგენს რესპუბლიკურ პარტიას — ერთ-ერთ ძლიერ პარტიას ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოთი დაინტერესდნენ ამერიკის კონგრესი, სენატი. ყველაფერი ეს აღაშფოთებს კრემლს და იგი აძ-

ლიერებს აგენტურულ მოქმედებას.

ისტორიული გამოცდილება გვახსენებს, რომ ყველა იმპერია, რომელიც კი თავის დროზე დაპირისპირებია საქართველოს, დაინგრა, გაცამტვერდა. ასე მოუვია „ქანასკრელ უზორტეს იმპერიასაც და ჩვენი დამოუკიდებლობა აღდგება.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ შეკრებილთ მოუწოდა, რომ 31 მარტს ერთსულოვნად მისცენ ხმა საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, საკრებულოების კანდიდატებს.

ბატონმა თემურაზ ჭორიძემ მიტინგის მონაწილეებს გააცნო საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი, რომელიც შეეხება რთულ საკითხებს, კერძოდ, ფასების ზრდის პრობლემებს და მასთან დაკავშირებულ სიძინელებს.

მიტინგზე განსაკუთრებული ყურადღებები აღინიშნა ყაზბეგში ბორის ელცინისა და ზვიად გამსახურდიას შეხვედრისა და მათ მიერ ერთობლივი ოქმის ხელმოწერის ისტორიული მნიშვნელობა.

წაიკითხეს დეპუტატის ტექსტი, რომელიც გაეგზავნა მოსკოვში რუსეთის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობას და ბატონ ბორის ელცინს. დეპუტატი, კერძოდ, აღნიშნულია, რომ პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მა-

გიდა — თავისუფალი საქართველოს“ მიერ გამართული მრავალათასიანი მიტინგის მონაწილენი ერთსულოვნად უჭერენ მხარს ქემარტილ დემოკრატიულ რუსეთს. მიტინგზე ერთხმად მიიღეს ასევე დეპუტა ჩვენნი და ინგუში ხალხებისადმი, რომელთა ბრძოლასაც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ასევე მხურვალედ უჭერს მხარს ქართველი ერი.

მიტინგზე გამოვიდნენ ბატონები ავაკი ასათიანი, ნემო ბურჭულაძე, დილარ ხაბულოანი, ინგუშეთის დედეგაციის წარმომადგენელი, ყაზახეთში მცხოვრები ინგუში ხალხის წარმომადგენელი, აგრეთვე თბილისში მცხოვრები სხვადასხვა ერების წარმომადგენლები.

მიტინგის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პარტი მიაგეს სა-მართლოში ამ დღეებში დალუქული ქართველი ვაჟაკების ხსოვნას.

თბილისში გამართულმა მიტინგმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ქართველი ერის მზადყოფნა — თანადგომა გამოუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს — ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას და 31 მარტს ერთსულოვნად მისცეს ხმა თავისუფალ საქართველოს, საკრებულოების ღირსეულ კანდიდატებს.

მერი ბაბრიაძე, საქინფორმის კორ.

31 მარტი — ერი და ბაჩის ერთსულოვნება

მოგვიახლოვდა 31 მარტი — რეფერენდუმ-არჩევნების დრო. მართალია ქართველი ხალხის ნების გამოხატვით არჩეულ იქნა ლიტუელი პარლამენტი, მაგრამ ოპოზიციის ძიგვამი ძალები მას

გაფართოებულ წინააღმდეგობას უწევს, არ აძლევს ნორმალური მუშაობის შესაძლებლობას. მტყუან-მართალი რეფერენდუმმა უნდა გამოავლინოს. მიმჩნია, რომ როგორც წინათ, არც ამჟერად გაწი-

სახალხო მედიცინის ექიმი, ფიტო-თერაპევტი ლიდა ალექსანია, ეროვნებით სომეხი, ერთ-ერთი იმთავანია, ვისთვისაც საქართველო მეორე სამშობლო გახდა, ვისაც საქართველოს ბედ-იბალი აღუღვებს, მისი სიხარული და ტკივილი გულთან მიაქვს.

— მე საქართველოში დავიბადე, — უთხრა ქალბატონმა ლიდამ საქინფორმის კორესპონდენტს, — თუ ცხოვრებაში რაიმე საუკეთესოს მივაღწიე, ამ კურთხეულ მიწას ვუმაღლი. გულწრფელად,

მთელი არსებით მომწონს ქართველი კაცის ბუნება, მომწონს მისი კაცობრივობა და სტუმართმოყვარეობა. სხვენთან ერთად მეც ვხარობ, როცა ქართველები უხარია, მათთან ერთად ვანვიცლებ ქრისაც და ვარამსაც.

ჩემს მეზობრებაში წარუშლელ ტკივილად დარჩება 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია. მთელმა ჩემმა ოჯახმა გულწრფელად გაიხიარა და განიცადა ეს უბედურება. დღესაც ძალზე უჭირს საქართველოს. ვინც ინტერფერენტის მომხრეა, ის საქართველოს მტერია. და მეც,

ლდება საქართველო და ყველა არჩევანის დაზუსტებით ხმას მისცემს ვისაც ენდო და ენდობა.

დროა პირადი ანგარიშების უარყოფისა და ერის და ბერის ერთსულოვნებისა, რომ მტერს საშუალება აღარ ჰქონდეს ქართველი ხალხის სისხლის დვრისა.

გავისენოთ დიდი ავაკის სიტყვები:

„დღეს გამოჩნდება ვინ არის ვაჟაკი ჩვენთაგანი!

სომეხი ერის წარმომადგენელი, გამოვუცხადებ ბრძოლას მათ. ოთხი ათეული წელია ქართველების ჯანმრთელობის საქმეს ვეშაზურებო და ცოდნასა და გამოცდილებას არ ვიშურებ მათთვის. ჩემი პროფესია მეურნეობაა და, მასხადამე, სიკეთის ქმნაც გულის კარნახია.

31 მარტს გაიმართება რეფერენდუმი. მე, რა თქმა უნდა, ხმას მივცემ საქართველოს თავისუფლებას, მის ძლიერებასა და გამარჯვებას და მოვეუწოდებ საქართველოში მცხოვრებ ყველა სომეხს,

ამაზე კარგი რა გინდა ბურთი და მოედანიო!

აქ ვგულისხმობ ერთობლივი აზრის გამოთქმას, სამშობლოს დასაცავად ერთად დგომას.

ვაკი ფშველას პოემის პერსონაჟ მინდობს, რომელიც ხალხმა თავის წინამძღვრად აირჩია, შემდეგ ფიცს აძლევდა ხალხი:

„ღმერთი გაუწყრეს და ხატი ვინაც უნ რჩევას იქითა ფეხი გადადგას საომრად თუნდ თავში სცემონ მჭიდითა,

სხვა ერების წარმომადგენლებს, ერთსულოვნად მისცენ ხმა დამოუკიდებელ, ძლიერ, ერთიან საქართველოს. ჩვენ ძმები ვართ და ასე ენიება მარად, ვიცხოვრებთ მეგობრულად ამ კეთილ, უხვ და ლამაზ მიწაზე.

ქალბატონი ლიდას ეს სიტყვები ლიტონი როდია. ჩვენის მხრივ დავუმატებდით, რომ ორიოდ თვის წინათ სამაჩაბლოში წესრიგის დამცველ ქართულ მილიციას ჩაუტანა წამლები, ბალახებისა და ყვავილების ნაყენები. მან საკუ-

მოკვდეს და პირი აეგოს ცივი სამარის თიხითა!

მიმჩნია, როგორც ჩვენი ფშველესურეთის არაგველები, ისევე ქართველი და საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელი ერთად ისახელებენ თავს არჩევნებში, რომელსაც ყველაგან სათანადო ზედამხედველი ეყოლება.

გიორგი მარცხვალაშვილი ფშვე, სოფელი ჩარგალი.

თარი დანახატით შეუძინა თერთ-მეტი ათასი მანეთის პროდუქცია. ქართველ მილიციელებს თავად უხვად ჩაუტანა სურსათი.

ასე მხოლოდ ის იქცევა, ვისაც თავისი ქვეყნის ტკივილი სტკივა, ვისაც მისი თანადგომა ცხოვრების ნორმად გადაუტყვევია, ვინც სიკეთეს სიკეთით უპასუხებს. სახალხო მეურნეობის ლიდა ალექსანია იწვორედ ასეთი აღამიანია. მან კარგად უწყის ბრძენთა შეგონება „ძმა — ძმისთვისაო“.

საქინფორმ

„ხმას მივცემ ქოუბასა და საქართველოს თავისუფლებას“

სახალხო მედიცინის ექიმი, ფიტო-თერაპევტი ლიდა ალექსანია, ეროვნებით სომეხი, ერთ-ერთი იმთავანია, ვისთვისაც საქართველო მეორე სამშობლო გახდა, ვისაც საქართველოს ბედ-იბალი აღუღვებს, მისი სიხარული და ტკივილი გულთან მიაქვს.

— მე საქართველოში დავიბადე, — უთხრა ქალბატონმა ლიდამ საქინფორმის კორესპონდენტს, — თუ ცხოვრებაში რაიმე საუკეთესოს მივაღწიე, ამ კურთხეულ მიწას ვუმაღლი. გულწრფელად,

მთელი არსებით მომწონს ქართველი კაცის ბუნება, მომწონს მისი კაცობრივობა და სტუმართმოყვარეობა. სხვენთან ერთად მეც ვხარობ, როცა ქართველები უხარია, მათთან ერთად ვანვიცლებ ქრისაც და ვარამსაც.

ჩემს მეზობრებაში წარუშლელ ტკივილად დარჩება 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია. მთელმა ჩემმა ოჯახმა გულწრფელად გაიხიარა და განიცადა ეს უბედურება. დღესაც ძალზე უჭირს საქართველოს. ვინც ინტერფერენტის მომხრეა, ის საქართველოს მტერია. და მეც,

სომეხი ერის წარმომადგენელი, გამოვუცხადებ ბრძოლას მათ. ოთხი ათეული წელია ქართველების ჯანმრთელობის საქმეს ვეშაზურებო და ცოდნასა და გამოცდილებას არ ვიშურებ მათთვის. ჩემი პროფესია მეურნეობაა და, მასხადამე, სიკეთის ქმნაც გულის კარნახია.

31 მარტს გაიმართება რეფერენდუმი. მე, რა თქმა უნდა, ხმას მივცემ საქართველოს თავისუფლებას, მის ძლიერებასა და გამარჯვებას და მოვეუწოდებ საქართველოში მცხოვრებ ყველა სომეხს,

ამაზე კარგი რა გინდა ბურთი და მოედანიო!

აქ ვგულისხმობ ერთობლივი აზრის გამოთქმას, სამშობლოს დასაცავად ერთად დგომას.

ვაკი ფშველას პოემის პერსონაჟ მინდობს, რომელიც ხალხმა თავის წინამძღვრად აირჩია, შემდეგ ფიცს აძლევდა ხალხი:

„ღმერთი გაუწყრეს და ხატი ვინაც უნ რჩევას იქითა ფეხი გადადგას საომრად თუნდ თავში სცემონ მჭიდითა,

სხვა ერების წარმომადგენლებს, ერთსულოვნად მისცენ ხმა დამოუკიდებელ, ძლიერ, ერთიან საქართველოს. ჩვენ ძმები ვართ და ასე ენიება მარად, ვიცხოვრებთ მეგობრულად ამ კეთილ, უხვ და ლამაზ მიწაზე.

ქალბატონი ლიდას ეს სიტყვები ლიტონი როდია. ჩვენის მხრივ დავუმატებდით, რომ ორიოდ თვის წინათ სამაჩაბლოში წესრიგის დამცველ ქართულ მილიციას ჩაუტანა წამლები, ბალახებისა და ყვავილების ნაყენები. მან საკუ-

მოკვდეს და პირი აეგოს ცივი სამარის თიხითა!

მიმჩნია, როგორც ჩვენი ფშველესურეთის არაგველები, ისევე ქართველი და საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელი ერთად ისახელებენ თავს არჩევნებში, რომელსაც ყველაგან სათანადო ზედამხედველი ეყოლება.

გიორგი მარცხვალაშვილი ფშვე, სოფელი ჩარგალი.

თარი დანახატით შეუძინა თერთ-მეტი ათასი მანეთის პროდუქცია. ქართველ მილიციელებს თავად უხვად ჩაუტანა სურსათი.

ასე მხოლოდ ის იქცევა, ვისაც თავისი ქვეყნის ტკივილი სტკივა, ვისაც მისი თანადგომა ცხოვრების ნორმად გადაუტყვევია, ვინც სიკეთეს სიკეთით უპასუხებს. სახალხო მეურნეობის ლიდა ალექსანია იწვორედ ასეთი აღამიანია. მან კარგად უწყის ბრძენთა შეგონება „ძმა — ძმისთვისაო“.

საქინფორმ

სხალ რეფერენდუმი



საქალაქი რეაქციონერული!

პოლიტიკურ გლო „თავისუფლების“ მიმართვა

საპარტიულო რესპუბლიკის მოსახლეობისადმი

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ტარდება რეფერენდუმი ერთადერთი კითხვით „თანხმად ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“

ეს რეფერენდუმი მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და თუ იგი ერთი ნაბიჯით მაინც მივყავართ თავისუფლებასთან, უფლება არა გვაქვს ხელიდან გავუშვათ ეს შესაძლებლობა.

ქართველი ერი საუკუნეების მანძილზე იბრძოდა თვითმყოფადობისათვის. და ამ ბრძოლაში მას მრავალი ერის შვილი ედგა გვერდით, რომელთა სახელები დღემდე მადლიერებით მოიხსენიება. თანამემამულენო!

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტში ასე წერია:

„მუხლი 5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

მუხლი 6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვიტარებს თავისუფალ ასაბრუნეს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ვარსკ.

ამავე იდეალებს დაეფუძნება თავისუფალი საქართველო. ამიტომ, რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მოვუწოდებთ, მივიღწეოთ საარჩევნო უბნებში და ხმა მისცენ დემოკრატიულ, დამოუკიდებელ საქართველოს.

**ლიბერალ-დემოკრატიული ეროვნული პარტია „დას“-ი;
დამოუკიდებელ რესპუბლიკაში
პრინციპულ-დემოკრატიული პარტია.**

ვიყავით და ვიქნებით ერთად!

საგნებით დარწმუნებული ვარ, რომ ჩემმა თანამემამულეებმა უკვე გააკეთეს არჩევანი: 31 მარტს ხმა მისცენ სუვერენულ, თავისუფალ საქართველოს. რატომ მაქვს ამის რწმენა? იმიტომ, რომ ჩვენს გაზეთში მოსულ წერილებსა და მიმართვებში იმპერიის მარწმუნებელი თვადსახსნელი ერთადერთი საშუალებად მიჩნეულია, რომ 31 მარტს ხმა მივცეთ სუვერენულ საქართველოს. ვარდა ამისა, სადაც კი ვიყავი, ვისაც კი ვესაუბრე — ჩემს მეგობრებს, ნათესავებს, ნაცნობებს, — ყველა იმის მომხრეა, რომ ჩვენ ხმა მივცეთ სუვერენულ საქართველოს.

ჩემი ხალხი ყოველთვის სამართლიანობის მომხრე და დამცველი იყო, ყოველთვის აფასებდა მეგობრობას და ურთიერთობას ცემას. ჩვენ წინაპართა ანდერძის ერთგულები უნდა ვიყოთ. თუ დღეს ჩვენ მხარს არ დავუჭერთ ქართველებს, მაშინ არც საკუთარ სამშობლოს ვცემთ პატივს და არც წინაპართა ნაანდერძებს.

კიდევ ვიმეორებ: საგნებით დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი თანამემამულენი ასეც მოიქცევიან, რადგანაც 31 მარტს საქართველოს ხელს წყდება. თავისუფლება ტკბილია, მაგრამ მას იოლადა არ იძლევიან. დღეს საქართველო თავისუფლების ზღურბლზე დგას და ჩვენ მხარს უნდა დავუჭიროთ. სხვაგვარად არ შეიძლება, ჩვენ ყოველთვის საქართველოსთან, ქართველებთან ერთად ვიყავით და მომავალშიც ასე იქნება.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!
**იხლან ალიევი,
ვაზეთ „გურჯუსტანის“ პასუხისმგებელი მდივანი.**

ქვირვასო თანამემამულენო!

ჩვენი სამშობლო საქართველო მოგვიწოდებს მივალწით მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობის აღდგენას. ჩვენ უნდა გამოვიხმაუროთ ამ მოწოდებას. ჩვენ ყოველთვის ვიდევით ქართველი ხალხის გვერდით და სამუდამოდ დავერჩებით მასთან ერთად. დიდი სიხარულით მივცემ ხმას საქართველოს დამოუკიდებლობას. დარწმუნებული ვარ, რომ ისტორიულ დღეს—31 მარტს თქვენ ყვე-

ლა კიდევ ერთხელ დაადასტურებთ თქვენს ერთგულებას ჩვენი შესანიშნავი მრავალტანჯული სამშობლოს — საქართველოს რესპუბლიკისადმი.

დიდება თავისუფალ საქართველოს!
**ალიხან დუშუანი (აბასოვი),
პოეტი.**

საპინფორმი

პარტიულთა სულიერი პოტიანობის განაგებებისადმი დასი „რწმენა“

ჩვენში და ჩვენს გარეთ მუდამ იქნებიან მოლატენი, მომურხენი, გაუტანელი, გაუმაძღარი, მაგრამ ჩვენში და ჩვენს გარეთ ასევე იქნებიან ერთგულნი, გონიერნი, გამტანნი, კეთილის დამხმარენი და საქართველო გადარჩება.

საქართველო გადარჩება, როცა ერის სულში მასობრივად გაიღვივებს საუკუნეების წინ დათესილი ქრისტეს მოძღვრება, რომელიც არის ხალხის სიმტკიცის, ერთიანობის, რწმენის წყარო.

70 წლის მანძილზე კომუნისტური იდეოლოგია ახშობდა ერის სულიერ, ზნეობრივ, ეროვნულ შეგნებას. იზრდებოდა ურთიერთსიძულვილი, იყარებოდა რწმენა. დღეს დადგა დრო, როცა ერის სულში კვლავ გაიღვივება მართლმადიდებლური მორალის მცნებებმა, სწორედ მათ ალორდინება-განმტკიცებებს ისახავს ქართველთა სულიერი ერთიანობის განამტკიცებელი დასი „რწმენა“.

„რწმენის“ მისამართი: ანაგის ქ. № 7.
ანაგისში № 007700544. საბჭოთალოს რაიონის პინსონაანი

გონა გავაუფლი — თბილისის ხალხური რაიონის რეაქციონალური სახალხო ფრონტის თავმჯდომარეა:

ქართველი ხალხი ყოველთვის თავგანწირვით იბრძოდა დამპყრობლებისაგან თავისი ქვეყნის გადარჩენისად. ამაზე ჩვენი მრავალტანჯული ისტორიაც მოგვითხრობს, მაგრამ მე შორეული წარსულის კი არა, ამ საუკუნის დამპყრობლებზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას, დამპყრობლებზე, რომლებმაც 1921 წლის 25 თებერვალს განახორციელეს საქართველოს ანექსია და ოკუპაცია, მას მერე საქართველოში ბევრი პარტიოტის სისხლი დაღვარეს 1921, 1924, 1928, 1937, 1941, 1956, 1989 წლებში. მაგრამ მაინც არ შედრკა ქართველი ხალხი, მეტსაც ვიტყვი, ყოველი სისხლიანი წელიწადი საქართველოს თავისუფლებასთან აახლოებდა. სწორედ ასეთი ბრძოლის შედეგი იყო 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ეროვნული ძალების გამარჯვება. მაშინ ჩვენი რაიონის მოსახლე-

გაგული ჩვენი საზრუნავია...

პირველი რაც გამოვლინებულა ემწვივოს თვალში ხედავდა, ეს დიდი კავკასიონის მარადიული თოვლით დაფარული ბუმბუკი მთები იყო. ბუნების განუმეორებელი სილამაზის მარადიული სიყვარულიც აღბათ, აქედან ჩიხახი მის სულში.

სკოლის პერიოდში მისი სერიალური გატაცება აღმოსავლური პოეზია და დასავლეთი ევროპის დამატურგია იყო. სახალხო თეატრის სცენაზე თამაში თუ სკოლის კედლებში, მის მიერვე დადგმული პიესები ხელოვანის კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ სცენის სიყვარული ბუნების სიყვარულმა გადასძლია და იგი ისაყვარებულა სტუდენტ ტექნიკური აკადემიის სტუდენტ გახდა.

სამხრეთისა თუ ჩრდილოეთის ტიპები, აღმოსავლეთი და დასავლეთი ციხები, ზღისპირეთი, ბურიატ-მონგოლეთი და კიდევ ბევრი სხვა მხარე, ეს ის გეოგრაფიული სივრცეებია, რომლებიც სწავლის პროცესშივე გაიხსნა მომავალმა სპეციალისტმა.

ახალგაზრდა სპეციალისტი ცოდნისა და გამოცდილების შექმნის მიზნით ტყის დაცვის დიდი სპეციალისტის, პროფესორ კატაევის მიერ იგზავნება ირკუტსკში, ცნობილი სპეციალისტის პროფესორ ტალალაევის გამოცდილების ვასა-ცნობად.

როდესაც საქართველოში ნაძენარების განადგურება და ეკოლოგიური კატასტროფა რეალობად გადაიქცა, მაშინდელმა მთავრობამ მართალია დაგვიანებული, მაგრამ მაინც მტად საჭირო გადაწყვეტილება მიიღო. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა ლაფანკაშიაწიანი დამცველი ბრძოლის მეთოდების შემსწავლე-

ხმა მივხეობ ჩვენ შენაღებს

ბამ დიდი გამოცდა ჩააბარა ერისა და ქვეყნის მომავლის წინაშე, როდესაც ერთსულოვნად მისცა ხმა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს. ხვალისდელ რეფერენდუმზე ჩვენი რაიონის მოსახლეობამ მეთოდ უნდა ჩააბაროს ასეთი გამოცდა. დარწმუნებული ვარ, ისინი არ შეცდებიან არჩევნებში.

როგორც აღინშნეთ, ჩუღურეთის რაიონის საკრებულოს არჩევნებში ჩვენი რაიონის რეგიონული სახალხო ფრონტი იღებს მონაწილეობას. ჩვენს მიერ დასახელებულ კანდიდატთა უმრავლესობა იმ უბნის მკვიდრია, რომელ საარჩევნო ოლქშიც დავასახელებთ. მინდა, მივმართო რაიონის ამომრჩევლებს: ისინი თქვენს გვერდით ცხოვრობენ და მათ ყველაზე უკეთ იციან. თუ რა პრობლემები აქვს ჩუღურეთს კაცს, სხვა რაიონებში, ან თუნდაც სხვა უბნელი კაცი ისე ახლოს გულთან

ვერ მიიტანს პრობლემებს, როგორც თქვენს უბანში დაბადებულ და გაზრდილ, პრობლემები კი ჩვენს რაიონში საქმია. ამომრჩევლებთან შეხვედრებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ როგორ აწუხებს ხალხს ნორმალური მალაზიების, აფთიაქების, საბავშვო ბაღების, სკოლების, გზების უქონლობა. საჭიროების მიხედვით არ მოძრაობენ ავტობუსები, არ არის საკმარისი გაზის ქსოვრები, ტელეფონები და სხვა.

სწორედ ამიტომ მოგიწოდებთ, ხმა მისცეთ თქვენს უბნელ ხალხს, რომლებიც ჩუღურეთის რაიონის რეგიონული სახალხო ფრონტიდან არიან დასახელებულნი. ამასთან ჩვენს მიერ დასახელებულ კანდიდატთა შორის არიან იურისტები, ეკონომისტები, მშენებლები, პედაგოგები და სხვა სპეციალობის წარმომადგენლები, ესოდენ რომ პირდება ჩვენს რაიონს.

დაგვარად სასწრაფოდ აგზავნიდა საქართველოში. აქ კი მოუთმენლად ელოდნენ მის ყოველ შეტყობინებას. დიდი ხიფათისა და წყალების შემდეგ დავალბა ბრწყინვალად იქნა შესრულებული. ბატონი ტოგო 5 წლის განმავლობაში წადგარის ექსპერიმენტული ბაზის მოწყობებულ, რთულ პირობებში, ყოველგვარ ამინდში, ახალგაზრდული მონღოლებით და მეუპყრობით ახერხებდა რიზთვადის გამარჯვებას. შემდგომში წადგარში დაწვებული საქმე მთელი საქართველოს მასშტაბით იქნა გავრცელებული. სატყუო მეურნეობების ბაზაზე იქმნებოდა სპეციალური ბიო-ლაბორატორიები, სადაც წინასწარ მომზადებული სპეციალისტები უკვე თვითონვე ახერხებდნენ ზოქოს გამოყვანა-გამრავლებას.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩიხარა. ერთი შესრულებულ სამეცნიერო თემამ შეიკრებინა ენაველოდა, მაგრამ მის მეცნიერულ მოღვაწეობაში ნაძვის დიდი ლაფანკაშია მთავარ საკითხად დარჩა.

როგორც ცნობილია პარტიოტული ძალების თაოსნობით საქართველოში 1989 წლიდან მოქმედებს სახალხო ფრონტი. საუწყებო სახალხო ფრონტი ჩამოყალიბდა სამთო მეტყველების ინსტიტუტშიც. ბატონი ტოგო ჯერ ამ ფრონტის წევრია, ხოლო შემდეგ მისი ხელმძღვანელი. მონაწილეობდა საქართველოს სახალხო ფრონტის მეორე ყრილობის შემოაბაში, როგორც დელეგატი.

1991 წლის 31 მარტის საკრებულოს არჩევნებში იგი დასახელებულია დეპუტატობის კანდიდატად. ვუსურვოთ მის ასევე მულთმოულწლოდ და წარმატებით მოღვაწეობას ყველა ახალ სამართლო ფრონტზე, როგორც წარმატებითაც იღვაწა ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ნაძვის დიდ ლაფანკაშიასთან.

ლანდა მასხალია

მოკლედ ასე შეიძლება დაახსი- ათო 28 მარტიდან მოსკოვში მი- მდინარე მოვლენები.

მიუხედავად საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებისა, რსფსრ სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობის გახსნის დღეს მოსკოვში მიტინგი მაინც შედგა, ოღონდ არა შანხეის, არამედ მაიაკოვსკის მოედანზე.

მაგრამ მანამდე ყრილობაზე, რომელიც გახსნა რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბორის ელცინმა, დეპუტატთა დიდი ჯგუფისაგან შემდგომი მიმართვა რსფსრ ყრილობისადმი, ქვეყნის უზენაესი საბჭოსადმი, სსრკ პრეზიდენტისადმი, შეაჩერონ სსრკ მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 25 მარტის დადგენილება მოსკოვში მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების მოწყობის დროებით შეჩერების შესახებ, აგრეთვე წინადადება — შეაჩერონ რსფსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს იურისდიქციისადმი მოსკოვის მილიციის გამოყვანის შესახებ სსრკ პრეზიდენტის ბრძანებულებაში მოქმედება. ამის თაობაზე ყრილობამ მიიღო დადგენილება და დაავალა რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს რ. ხაზბულატოვს დაუყოვნებლივ დაეწყო მოლაპარაკება სსრკ მთავრობასა და პრეზიდენტთან.

მიტინგი შედგა, პრილოვა მუშაობს, ჯარისკაცებმა დატოვეს მოსკოვი

ცოტა ხნის შემდეგ ხაზბულატოვი დაბრუნდა ინფორმაციით, რომ გობზაჩოვმა აჩვენა თავისი „უღრუკობა და უკომპრომისობა“. ამასთან სსრკ პრეზიდენტი შეპირდა, რომ ჯარებს ქალაქიდან 29 მარტს გაიყვანდა და სთხოვა ხაზბულატოვს რსფსრ დეპუტატებისათვის სიტყვა-სიტყვით გადაეცა, „რომ ის პატვის სცემს რუსეთის დეპუტატებს, მაგრამ ყრილობასაც პყავს ზემდგომი ორგანოები და ის თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლის“.

ამ ცნობის შემდეგ დეპუტატთა ნაწილმა ყრილობის შეწყვეტა მოითხოვა, მაგრამ ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ ყრილობა მუშაობდა. 29 მარტს დილით განაგრძობდა.

რაც შეეხება ქალაქში მიტინგის ჩატარებისას წესრიგის დაცვას, ბორის ელცინმა ეს რსფსრ შინაგან საქმეთა მინისტრ ვ. ბარანოვიკს დაავალა და იმასაც ხაზი გაუსვა, რომ მიტინგში რსფსრ სახალხო დეპუტატების მონაწილეობა წესრიგის დაცვის დამატებითი გარანტია იქნებოდა. და მი-

ტინგი შედგა. მილიციის მიტინგზე ერთი ძირითადი მოწოდება გაისმოდა „დავიცვათ ელცინი და რუსეთის პრეზიდენტობის იდეა“. იყო ერთი ლოზუნგიც: „გობზაჩოვი კომუნისტია“. მიტინგმა მოუწოდებდა რსფსრ სახალხო დეპუტატებს არ დაუშვან პარლამენტის გადართობა, რომელსაც „რუსეთის კომუნისტები“ ამზადებენ... მთელი ამ ხნის მანძილზე მიტინგი სხანდირება: „ელცინი პრეზიდენტი“.

ერთი სიტყვით, როგორც ამას „კომსოპოლსკია პრავდა“ (29 მარტი, 1991 წ.) უსვამს ხაზს, საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილება დაირღვა—მიტინგი არამართოვანად და დაცვა ელცინი, მან ერთი ამოცანაც გადაწყვიტა — დაიცვა საკუთარი თავი; სიტყვის თავისუფლება და კიდევ ერთხელ დასაბუთებული პასუხი ვასცა კითხვას: „შეიძლება თუ არა კანონიერად ჩაითვალოს ხელოსნულად მიერ კანონიერ გზით მიღებული არაკანონიერი გადაწყვეტილება“.

საქართველოს
რესპუბლიკის
არჩევნები

დღევანდელი საქართველო (შინადასრულებული)

რედაქციის მდიანი ექვთიმე მგებელი

მაღალი წნევა ახლა ვის არ აწუხებს... პოლიტიკური ვნებებისა თუ ექვემდებარების ანტირეჟიმის ვითარებაში...

მოდა, ასეთ ღრს წნევა შემოგვიფარა-მეთქი, რომ შევიჩვიო ვინმეს, ალბათ, სიცილით მოვედება! არც ვაპირებდი, მაგრამ იმ დღეს ერთ ახლობელ ექიმთან ჩემდაუნებურად წამომიცდა და ექიმი რის ექიმი იქნებოდა, რომ არ ჩამძივრდა...

... „სხვა დროსათვის“ წასაკითხად გადადებული გაზეთებიდან „იხვესტიას“ ვიღებ. არცთუ მთლად ახალი ნომერია — 6 მარტისაა, მინდა გვერდზე გადავდო, მაგრამ... მოდი, მაინც გადავხედავ. თვალში მხვდება გარბანოვისა და მეიჯერის მხიარული (ფართოდ იღიმებიან) და ხელს ართმევენ ერთმანეთს...

ჩავაყოლე თვალი. „სსრკ-ს მინისტრთა კაბინეტში“, აწერია ინფორმაცია. ვკითხულობ. თურმე ეკონომიკაში ჩვენი ყველა უბედურების მიზეზი ყოფილა ძველი სამეურნეო კავშირების დარღვევა და ცდევინება, რომ ქვეყანაში ახლა უფრო მეტად დაკავებულნი არიან არა მატერიალურ სიკეთეთა წარმოებით, არამედ მათი განაწილებით. სწორია, მაგრამ... თვითონ მთავრობა „დელეჟ“-ის გარდა ბევრ რამეს აკეთებს. თუ?!

რომ „გაერთიანებულ გერმანიას“ თანმიმდევრულად დაცვიან ადამიანის უფლებებს და, კერძოდ, გამოირიხებოდნენ იქნება ყოფილი გერმანიის მოქალაქეთა პოლიტიკური ან სხვა მოტივებით დისკრიმინაცია...

აგერ მარჯვენა სექტებში მოკლე-მოკლე ინფორმაციები დაბეჭდილი — რაზე ვინდა, სულს და გულს, რომ არ იყოს! თურმე მოხვედრებიც აპირებენ რუსების კვალდაკვალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას...

ლაბით ივანოვის საფეიქრო ფაბრიკის ტერიტორიაზე ქსოვილის ქურდობაზე წასწრებულ (დღემდე დაუდგენელ) პირს მკერდში დანის დარტყმით მოუკლეს დაცვის მილიციელი (სათაურიც, შესაბამისად, ტრავატიუნალ შთამბეჭდავია: „მილიციელი მოკლეს 37 მეტრი ფანელის გამო“).

სატიკითო ზომილი „პავლე შეველიოვი“ კურილი-ის კუნძულებთან შტორში მოხვედრილა და ეკიპაჯის მიერ იაპონიიდან იაფად წამოღებული 11 უცხოური ავტომანქანა სტიქიას გემბანიდან „გადაუტყვისია“, ხოლო დანარჩენი 12 მანქანა ისეა თურმე დაღვენილი...

პირველი გვერდი, მგონია, მოვრჩი. მოდი, ახლა ბოლოდან დავიწევებ კითხვას. ავადმჯიღე ღმერთმა! მერვე (ბოლო) გვერდი, ვატყობ, დადებული ემოციებით დამამუხტავს. აგერ, მომცრო წერილს დამამივიდებლად აწერია: „რას არ ვაგაფთებ კაცი ნახევარლიტონისის გულსთვის?“ მგონი ჩვენი „უფროსი ძმები“ ინაზღაურებენ „ზემოთ“ დაკარგულ „პოლიტიკურ სიკეთეს“...

განა შეიძლება ამ სათაურმა არ მივიხილო: „როგორია დღევანდელი საქართველოს სოციალისტური გარემოება?“ ხარბად ვკითხულობ. თურმე 1 მარტი, დღის 7 საათზე, მოსკოვის მეტრო „პუშკინის მოედნის“ მი-

წისკვეთა გადასასვლელში უნახავთ ახალგაზრდა ცვლილი ი. მაკაროვი — მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატი, დაცემისათვის დამახასიათებელი თავის ქალის ტრავმით. ჭერჭერობით თურმე სასამართლო სამედინო ექსპერტის საბოლოო დასკვნა არ მიუღიათ — ამას კიდევ ორიდღე კვირა დასტურდება (ხომ წარმოდგენილი გაქვთ ამგვარი ექსპერტის მთიმიდე გამოძიების გადასარევი „ოპერატიულობა“ და შედეგიაზომა ჩახსოროთ დანაშაულთა განსნა-გამოკვევის საქმეში...).

არა, ძმაო, ეს მეორე გვერდი ჩამამთავრებინა როგორც მშვიდობიანად, მე დანარჩენი 6 გვერდის გადაშლელი არა ვარ. ისე, მგონი, ვრჩები, დროა გვერდზე გადავდო და სხვა რაიმე წასაკითხი ავიღო. თუმცა... ნეტა, თვალი ხომ არ მატყუებს? „ჩერიომუსა“ ქალბატონის წინააღმდეგ. ფელეტონი არ უნდა იყოს — არაფერი მსგავსი არ აწერია და თანაც ერთი ბეწვია. ვკითხულობ და ვგრძობ... თუმცა მოდი, თქვენც ჩემთან ერთად განიცადეთ.

ტომისკის ცენტრში, მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადის ვლადიმერ ლენინის პრესხეტზე მდებარე მალაზია „ლუქსში“ გასაყიდად გამოტანილ ქალის იმპორტულ კოსტუმებზე ჩვეულებრივი კლასიკური რუსული რიგი კი არ გამართლდა, არამედ ისეთი რამ, რომელიც მე და თქვენ, ეტყობა, ჭერავთ არ გვინახავს, მითხველო! ამიტომ სახელის მოქმენა მივიღის... ვუწოდოთ მას პირობით „ზედაბორა“. მოკლედი, ისეთი ენით აუწერელი ზედხორა გამართლდა, რომ ხაზჭოთა (СОВЕТСКИЙ) რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილება მუშავენ ცრემლმდენი გაზის — ჩვენივის ასე „შობილოურად“ ნაინებო „ჩერიომუსა-10“-ის გამოყენება მოუხდათ „გამაყიველთა თხოვნით“ (ჩვენიანაც ხომ გამაყიველთა თხოვნით მოხდა 9 აპრილი).

ამ „სარეგისტრაციო საჩუქრის“ გამო ერთი ამბავი ამტყუარა გავიხსენა თუ სამართალდამცველ ორგანოებში, მაგრამ... ალბათ უკვე მიხვდით: ცრემლმდენი გაზის გამოყენებაში კონკრეტული დამნაშავე პირი ვერ დაუდგინიათ!

დავტოვოთ ახლა ტომსკელი ქალები თანაქალაქელ ჯენტილმენთა „სარეგისტრაციო საჩუქართან“ (ღმერთმანი, თანაგრძობით ვამბობ და არავითარ შემთხვევაში — ნიშნის მოგებით, თუმცა... მათი თუ არა, მათი თანამემამულეების არჩეული „არჩეულები“ არ იყვნენ ყოველგვარ გენერალ რედიკალის მქუხარ ტამით რომ იხვედნენ?!...!) და ჩვენთვის ასეთი რამ მივიხიზნოთ: ხომ დიდებულად აუთვისებიათ ტომსკელ მილიციელებს და მათს უფროსებს საკავშირო ჭარბებისა და მათი უმაღლესი რანგის უფროსთა გაკვეთილები?!

... გავითი კი გადავავლო, მაგრამ წნევა უკვე „მაღალ დონეზე“ მატკს... ეპ, მე რაც მჭირს, ჩემითა მჭირს, მაგრამ ამ ავადმყოფ კაცს ხომ შეეპატიება, ორი კითხვა რომ დაგიკითხო?

პირველი საუბრად: შეიძლება ახლა ჩვენი კურთხეულ ქართულ მიწაზე მცხოვრებმა ნორმალურმა და ნაშუსიანმა, ან, თონდაც ელემენტარულად წინდახედულმა და შეიღების ბეჭე მზრუნველმა ადამიანმა — ქართველმა და გინდა არაქართველმა 31 მარტის რეფერენდუმს ზურგი შეაქციოს და საქართველოს ამ ხალხისაგან („პროლო სოციალისტისაგან“) დამოუკიდებლობას ორივე ხელით (17 მარტის აფხაზურ მეთოდზე არ მოგახსენებთ, როცა ერთიდაიგივე კაცი მრავალჯერ აძღვედა ხმას ორივე ხელით, ორივე ფეხით და კბილებითაც...) და მთელი გულით არ მისცეს ხმა?!!

ახლა საჩემოდაც ვაგიხივდეთ კითხვას: როგორ გავხედავ ამათთანა „მასალის“ და ხალხის გადაკმდე კაცი უემოციო მითხველი?

მიწაწმინდა მამიანი: თუ ვინმეს იოტისოდენა ეჭვი მაინც შეეპარება იმაში, რომ ზემოთ საკავშირო პრესა-ტელევიზიისავით რიმიე „წყავთანტაზირი“ ან უკუღმა „ამოვარბუნე“, უმოჩილისდა ვებოვ, წაიკითხონ „იხვესტიის“ მიმდინარე წლის 6 მარტის ნომერი — მთლიანად არა, მხოლოდ პირველი და მერვე გვერდები — გვეცემით, ჩემდა საბედნიეროდ, მეტი არც მე წამიკითხავს!...

იური ბაბინინა, იურისტი.

ბედნიერი ვარ, რომ ვეშუაობ მცხეთაში არქიტექტორად. მუდამ მახსოვს ჩვენი დიდი წინაპრის სიტყვები: „პარტიესა ვხედავ და პარტიესაგან შეშინისო“.

ბას. დღია ამ საქმის ესთეტიკური და უტილიტარული ღირებულება. რაც შეეხება 70 000 კაცის უბნისპირის პრობლემას, დამაფიქრებელია, მაგრამ ახლობური წესი ცხოვრების პირობებში უფრო შეიძლება მოგვარდეს. კარგი იქნება, თუ, ჭერ ერთი, ამ 70 000 კაცის ბევრი დაუბრუნდება საკუთარ სოფელსა და რაიონს, საკუთარ ქვას, მიწა მოუხმობს თავის ნადვლი პატრონს. მეორეცა, გავლივებული ერთგული თვითმშენების პირობებში ბევრი არაქართველი უბრუნდება თავის პირველ სამშობლოს. ვფიქრობ, ესეც გამათავისუფლებს საბინაო ფართს.

ბლემები უნდა გადაწყვიტო — მას არ უნდა დაეკარგოს განუთერებელი კოლორიტი, ის უჩვეულო პარმონია, რასაც აქ ჩვენი კულტურისა და რელიგიური ისტორიის შესანიშნავი ძეგლები ქმნიან. სამწუხაროდ, დღევანდელი მცხეთა მხოლოდ თავისი უდიდესი ისტორიითა და ხელთუქმნელი რელიგიური ძეგლებით იწონებს თავს, საუკუნეთა შემდეგაც რომ ინარჩუნებენ პირვანდელ მონუმენტობას.

ბავშვება მეორე იარუსალიში?

უპირველესად გავაკანთი თქვენი თავი. — გამოგიტყუებით, გამორჩეული და ღირსშესანიშნავი ჩემს ბიოგრაფიაში არაფერია. თითქმის მთელი ბავშვობა დღეღამეში, დიდ მცხეთაში ვატარებ. მცხეთას შევეზარდე, მანვე მახიარა კეშამბრიტად დიდ ზელოვნებას, ნამღვილ ბუროთმოდორებას, რომელიც მთელი სიცხადით აღიბეჭდა ჩემს წარმოსახვაში. დიდი იყო ამ ზიარების შიში, რიდი დე ხიბლი.

ბავშვება მეორე იარუსალიში?

ბავშვება მეორე იარუსალიში? ბავშვებმა გაცილებით მთავარი არქიტექტორი გონა ვაჟალივილი

ბავშვება მეორე იარუსალიში?

ტებთან ერთად უკვე მუშავდება მერჩეული ტერიტორიის გენგგმა. მაგრამ, ვიმეორებ, ეს მხოლოდ წაშლისობრივ მოხსენის პრობლემაა. საქართველოს ეროვნულ მთავრობას, ალბათ, სხვა რეზერვების ძიებაც დასჭირდება.



ლოგიკური გადაგონი...



გრამ მეკარი ადგილზე დაგვიდა ბურთს. გაშვებულ ბურთის შემდეგ თბილისის „ბერიამაც“ გამწვავა შეტევები, რაშიც, უდავოდ, თემურ ჭიჭინაძის დიდი დამსახურებაა. სწორედ მან წამოიწყო შეტევა მარცხენა ფრთიდან, რომელიც ეფექტური დარტყმით დაამთავრა გელა ინალიშვილმა და ანგარიში გაათავაზა. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ მეტად დროული აღმოჩნდა მინდორზე კაზი გოგინაშვილის გამოჩენა, რომელიც საკმაოდ აქტიურობდა ორივე ფლანგზე. პირველი ტაიმის შუა ნახევარი, საერთოდ, გარდასვალის უპირატესობით აღინიშნა. აღსანიშნავია, აგრეთვე ორივე გუნდის ცენტრალური ნახევარმცველების — როსტომ თორღაშვილის, გია ილასონისა და გია ნემსაძის ახარებული თამაში მოედნის სკაულში. ტაიმის მიწურულს კი „გორდას“ უპირატესობა გამოიკვეთა და ერთ შემთხვევაში მხოლოდ თბილისელთა კაპიტანს — კახი ცხადაძის თავგანწირულმა თამაშმა ისწავა „ბერიის“ კარი აშკარა უსიამოვნებისაგან, როდესაც როსტომ თორღაშვილის ძლიერად დარტყმული ბურთი მთლიან საკუთარ თავზე. თუმცა, „გორდამ“ მაინც შესძლო ანგარიში დაწინაურება — ხვინა ქასრაშვილის რეიდი მეტოქის სიღრმიდან იმით დამთავრდა, რომ მამუკა ფანცულაიამ მეტად ლამაზი და რსტრუქური ბურთი გაიტანა მეკარისაგან მარჯვენა მაღალ კუთხეში. სხვათა შორის, მამუკა ფანცულაის, ჩვენი აზრით, ეფექტური გოლების გატანაში ამჟამად საქართველოში, შესაძლოა, ბადალი არც ჰყავდეს...

...საგაზაფხულო ჩემპიონატის კალენდარი ისე არის შედგენილი, რომ შარშანდელი სეზონის ექვსი საუკეთესო გუნდი პირველ ათ ტურში ხვდება ერთმანეთს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ გუნდებისათვის, ალბათ, უკეთესიც იქნებოდა მათი შეხვედრები ჩემპიონატის დასასრულისთვის გამართულიყო. თუმცა, ეს ჩვენი სუბიექტური აზრია და არავისთვის თავზე მოხვევას არ ვაპირებთ. ამასობაში კი განვიღო მესამე ტურში კიდევ ერთი ცენტრალური და მეტად საინტერესო მატჩის მოწმენი გავხდით. ფეხბურთის მოყვარული, ალბათ, მავლდება, რომ საუბარია რუს აჯის „გორდასა“ და თბილისის „ბერიას“ შორის გამართულ შეხვე-

დრაზე. ამ მატჩმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია და არც შეცდნენ. შეხვედრა, განსაკუთრებით კი პირველი ტაიმი, მეტად ლამაზი და საინტერესო აღმოჩნდა. თავდაპირველად რუსთაველები უფრო აქტიურობდნენ და შეხვედრის დასაწყისშივე გარჯის კიდევაც ანგარიში. ეს მას შედეგად მოხდა, როდესაც „გორდას“ მარცხენა გველის ელფარდ ავაქიანის მიერ ძლიერად დარტყმულ ბურთს ოდნავ შეუცვალა თავით მართულმა თბილისელთა დებიუტანტმა მურთაზ შელიამ და ნიკა იხეიძის ნახტომიც ამაო გამოდგა. სულ მალე მამუკა ფანცულაიამ შესძლო თავის ჩვეულ მანერაში რსტრუქურად გაეგზავნა ბურთი მეტოქის კარის მიმართულებით, მა-

ტური გოლების გატანაში ამჟამად საქართველოში, შესაძლოა, ბადალი არც ჰყავდეს... მეორე ტაიმმა, რომ იტყვიან, უფრო მშვიდად ჩაირა. თანაც, თამაშის ტემპიც ოდნავ იკლო. თითქოსდა, უფრო ხშირად ბურთს „ბერიის“ ფეხბურთელები ფლობდნენ, მაგრამ სავალე მომენტების შექმნას ვერ ახერხებდნენ. „გორდას“ კი კონტრშეტევებზე ცდილობდა მეტოქის „დაქეცას“. მატჩის ბოლო წუთები კვლავ თბილისელთა შეტევებით აღინიშნა და მიხეილ ყაველაშვილმა ახლო მანძილიდან კარის ზედა მელსაც მოახვედრა ბურთი. რუსთაველებმა ის იყო შეტევა მოიგერიეს, რომ გელა ინალიშვილმა შეუჩერებლად, დაახლოებით 20-22 მეტრიდან ზუსტი დარტყმით წინასწარობა აღადგინა ამ დაძაბულ მატჩში. აღსანიშნავია, რომ გელა ინალიშვილმა მთელი მატჩი დიდის აომავლობით ჩაატარა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო შეხვედრაში. მატჩის საყაიმო ანგარიში კი, ვფიქრობთ, სრულიად ლოგიკური იყო — არცერთ გუნდს რაიმე აშკარა უპირატესობა არა ჰქონია. დასასრულ, გავაცნობთ მესამე ტურის ცენტრალურ შეხვედრაში მონაწილე გუნდების შემადგენლობებს:




ინალიშვილი, ჭიჭინაძე, ჩიქოვანი, კახარავა, ჯამარული (გოგინაშვილი), ნემსაძე (ყაველაშვილი).
მორიგ მეოთხე ტურში, რომელიც ხვალ გაიმართება, ყურადღების ცენტრშია ორი მატჩი: „ბერიას“ — „ქუთაისის“ და „გურია“ — „გორდას“. ვიმედოვნებთ, რომ ორივე შეხვედრა ფეხბურთის მოყვარულთა დიდ ინტერესს გამოიწვევს.

- გია ბუსუაშვილი**
- სურათი:** „გორდასა“ და „ბერიის“ შეხვედრის მომენტები.
- ოღმა გველანისანის ფოტოები.**
- მესამე ტურის სხვა შეხვედრები ახე დამთავრდა:
- „დილა“ — „შოთრი“ 2:0;
 - „გურია“ — „ალაზანი“ 1:0;
 - „ოდიში“ — „ივერია“ 4:1;
 - „ცხუში“ — „შევაღდენი-1906“ 3:1;
 - „კოლხეთი-1918“ — „სულრო“ 2:2;
 - „მერცხალი“ — „სამგურალი“ 2:1;
 - „ქუთაისი“ — „მარგვეთი“ 1:0;
 - „ბათუმი“ — „ამირანი“ 1:0;
 - „კოლხეთი“ — „სანავარდო“ 0:0.

ქუთაისის აპაკი წარტლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბიტურიენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ დაწყებითი სწავლების პედაგოგის, მეთოდისა და მუსიკის სპეციალობაზე შემსვლელთათვის კონსულტაციები მუსიკაში მოწყობა 28 მარტს, 25 აპრილს, 30 მაისს 16 საათიდან 18 საათამდე, ხოლო 13 და 20 ივნისს — 10 საათიდან 12 საათამდე (მეორე კორპუსი, მეოთხე სართული, აუდიტორია № 100).

უნივერსიტეტის მიმღები კომისია



მურთაზ აბაშიძის ნახტი. „კომსომოლსკაია პრავდა“ 28.III. 1991 წ.

— ცნობილია, რომ სახბოთა კავშირში აღრიცხული 5000-მდე კულტურის ძეგლიდან დაახლოებით 8500-ზე მეტი საქართველოზე მოდის. ქართული ბუროკრატული უმეცანობის ნიშნები ამჟველებს მცხეთას, რეგიონს, ხალაძე თქვენ მოღვაწეობთ. რა კეთდება თქვენს რეგიონში ქართული ისტორიული ძეგლების აღდგენ-რესტავრაციის მიმართულებით და, საერთოდ, არქიტექტორის თვალს როგორ ესახება მცხეთის განვითარების პერსპექტივა?

— მცხეთა მხოლოდ მცხეთელებისა არ არის, იგი სრულიად საქართველოს სიწმინდეა. მე სულ მახსოვს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვები: საქართველოს გაბრწყინება მცხეთიდან უნდა დაიწყოს. მეგობრებო, რომ ასე იქნება. მაგრამ დრო მართლაც თავისა და ხელს შუა ქრება. ქალაქში კი უამრავი გადასახვერი პრობლემა დახვავდა. იმისათვის, რომ საქმე წინ წავიდეს, ჩემი აზრით, მცხეთა უნდა გათავისუფლდეს იმ ტაბულადებული სახელისაგან, როგორცია „ქალაქ-მუ-

ზეუმი“. ალბათ, დადგა დრო, მცხეთამ აღიდგინოს ძველი, უსამართლოდ მივიწყებული წმინდა ქალაქის სახელი. მცხეთელთა დიდი სურვილია, მცხეთა იქცეს რელიგიურ ცენტრად, „მეორე იერუსალიმად“, სადაც ყველა ქართველი თუ საქართველოს სტუმარი მოიწვიბითა და თავდადრეკით შემოაბიჯებს.

მაგრამ ერთი სურვილი, ხოლო მეორე — რეალობა. სამწუხარო რეალობა კი ისაა, რომ ქალაქს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები ნორმალური განვითარებისათვის. წლების მანძილზე მიზნობრივად გამოყოფილი სახსრებიც არაღანინშულეებისამებრ იხარჯებოდა... ჩამოთვლაც კი დაგვლით, იმდენი სახის პროექტი დევს ჩვენთან ქალაქისა, მთელი რაიონისა. მაგრამ, რა შორს მიმავალი სურვილები და ოცნებებიც არ უნდა გვქონდეს, ყველაფრის საფუძველი მაინც ეკონომიკაა, ფინანსებია, რითაც ესოდენ ლარბია ჩვენი ქალაქი. უამრავი მწვავე პრობლემა კვლავ შეგვახსენებს თავს, სანამ არ გამოიძებნება დაფინანსების ესა თუ ის კონკრე-

ტული წყარო...
სიამოვნებით მინდა აღინიშნო, რომ სულ მალე ამოქმედდება მცხეთის ასალორბინებელი სრულიად საქართველოს ფონდი — შემოწირულობათა და ქველმოქმედებათა სახით, რითაც მრავალჩანაფიქრს შეესხმება ხორცი. ალბათ, ის ქამიც მალე დადგება, როცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ითავის საბრძანებელს — სვეტიცხოველს დაუბრუნდება და აქედან დალოცვილ საქართველოსაც ქრისტეს კვართის მადლი მოეფინება... ესეც სრულიად საქართველოს ზრუნვის საგნად უნდა იქცეს, თორემ მართო მცხეთელები ამ უზუნაეს ტვირთს ვერ მოვერევით. ნათელია, რომ ჩვენს ბედკრულ სამშობლოს ახლა ხელგადაკაპიწებულ ჩარისკაცები სჭირდება, და არა ჩინებისა და სხვადასხვა რანგის სკამების მაძიებელნი. რომელ უბაზრეც არ უნდა ვიყოთ, ჩვენ ყვერ ქართველები ვართ, და ამდენად, მოვალენიც, ვიზრუნოთ საქართველოს კეთილდღეობისათვის.

ენაუბრა ცინსანა ჯორბანაძე

უკრადლეა!

საქართველოს პომეოპატთა საზოგადოება და სამედიცინო საქველმოქმედო ფირმა „გეზუზისი“ 30 აპრილიდან აწყობენ ქურებს პომეოპათიაში.

მსმენელებად მიიღებიან ყველა სპეციალობის ექიმები. სწავლების ჩანგრძლივობაა 1 თვე. ქურ-

სდამთავრებულებს მიეცემათ სათანადო მოწმობა.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ რკს-ის ხალხური მედიცინის კაბინეტს 10-00 საათიდან 15-00 საათამდე, მისამართით: ვაჟა-ფშაველას პრ. 27 ბ; რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს საკონსულტაციო პოლიკლინიკა, კაბინეტი № 28.

დაწერილებით ცნობებისათვის მოგვკითხეთ მისამართით: ბორჯომი, რუსთაველის ქ. №3. ელს-მენი: 2-41-18; 2-18-06.

ბინჯვით სამოგზაუროდ!

ბორჯომის რეგიონალური საწარმოო ტურისტული გაერთიანება „სამბრეთი“ გთავაზობთ საგზურებს შემდეგი მარშრუტებით: 20 აპრილიდან — პოლონეთი, ქ. კრაკოვი; 10 მაისიდან 20 მაისამდე — რუმინეთი-ბულგარეთი-თურქეთი; 19 მაისიდან 26 მაისამდე — საბერძნეთი-თურქეთი; 22 მაისიდან 28 მაისამდე — ოდესა-სტამბოლი.

მოგზაურობის პერიოდში მარ-



გთავაზობთ მრავალტომეულს „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო...“

ექსპერიმენტული ფირმა „თხის რქა“ გამომცემლობა „ხელოვნებასთან“ ერთად გამოსაცემად ამზადებს 100 ტომეულს (ნაცვლად 50 ტომისა) „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო...“, რომელშიც შევა ქართული და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო ზღაპრები და რითაც შეუქმნით ბავშვებს ჯადოსნური სამყაროს სრულ ბიბლიოთეკას. ცალკეულ ტომებად გამოვა ჰაუფის, ანდერსენის, ლინდგრენის, პეროს, ძმები გრიმების, როდარის, უაილდის, მარშაკის, ლაგერლოფის, კიპლინგის, დისნეის, გრინის, კეროლის და სხვა დიდ მეზღაპრეთა საუკეთესო ნაწარმოებები. ვინაიდან სერიალმა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია, ფირმამ და გამომცემლობამ ჯადაწყვიტა ტირაჟის დამატება. სპეკულაციის თავიდან აცილების მიზნით ხელმოწერის ბარათები გაიცემა ორგანიზაციებზე, დაწესებულებებზე, ეზოს, ქუჩის, სადარბაზოების მცხოვრებლებზე კოლექტიური განაცხადების საფუძველზე. ამასთან ერთად მიიღება (პირველ რიგში) ერთიანი მოთხოვნები საქართველოს ყველა რაიონიდან, სოფლიდან არა უგვიანეს 15 აპრილისა.

რაც შეეხება წიგნს, „ემიე ვარსკვლავი შენი“ იბეჭდება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და ტირაჟს ველოდებით არა უგვიანეს ამა წლის მაისში. ტალონები ძალაშია.

ცნობებისათვის: თბილისი, მეტრო „აწერეთლის“ ფოიეში მდებარე საფირმო ჯისური „თხის რქა“, ტელ: 34-96-41.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ორგანიზაციების, საწარმოების და კოლმეურნობების სპეციალურად მომზადებული!

რუსეთის სასაქონლო-ნედლეულის ბირჟის საბროკერო ფირმა „AM“ ის სააგენტო გთავაზობთ დახმარებას ნებისმიერი სახის ნედლეულისა და ნაწარმის (მსუბუქი, ელექტრო, საყოფაცხოვრებო, სასურსათო, სატრანსპორტო, ქიმიური და სხვა) როგორც რეალიზაციაში, ასევე შექენაში. ვაჭრობის სახე — საბითუმო.

ცნობებისათვის დარეკეთ: 31-27-60, საბროკერო ფირმა „AM“.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

რუსეთის სასაქონლო-ნედლეულის ბირჟის საბროკერო ფირმა „AM“-ის სააგენტო გთავაზობთ ერთკაპრიან „BOCSH“-ის ფირმის მაცივრებს როგორც ნაღდ აწვარშიზე, ასევე გადარიცხვით.

ცნობებისათვის დარეკეთ: 31-27-60 საბროკერო ფირმა „AM“

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ რეკლამებისა და განცხადებების შესაკვეთად მიმართეთ სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“.

მისამართი: ბუდაბეშტის ქ. №1
 ტელეფონი: 37-06-64 ან 37-58-25 (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა („გცვლი ბინას“, „გვესაჭიროება“, „გყიდი“, „გყიდულობ“, „ვასწავლი“, „ვაქირავებ“ და ა.შ.) მოგვმართეთ 15.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

შევასსენებთ, რომ ორგანიზაციებისათვის გადასახადი ერთ კვადრატულ სანტიმეტრში 4 მანეთია, კერძო პირებისათვის იგივე ფართი — 2 მანეთი.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

საზღვარგარეთული კონტრაქტები

წარმოებებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კერძო პირებს, რომელთაც აქვთ კონკრეტული ვალუტა და სურთ ამა თუ იმ საქონლის, დაზღვა-დანადგარების ან მოწყობილობების შექენა საზღვარგარეთ, დახმარებისათვის შეუძლიათ მიმართონ ფირმა „ზმპს-ს“, რომლის მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის 74 ბელაჟონი 85-18-37

ფირმა „ზმპს“-ის დახმარებით შექენთ ნებისმიერ საქონელს. ეწვიეთ ფირმა „ზმპს“-ს.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ხელოვნება
 ქართული
 Общество «Холостяк»
 газета

ტელეფონები: მისაღები — 39-37-81;
 პასუხისმგებელი მდივანი — 39-81-59;
 წერალების განყოფილება — 39-89-89.

საქართველოს უზრუნველყოფის გამომცემლობა „ხმშობლის“ ბტამბა, თბილისი, შ. კობტაყას 14, იბეჭდება ოცხეტური წიხით ხაზოეთო კორპუსში, ხ. შარაულის 29.
 № 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 11, 12, 13, 14, 15

პაიითი პაიითის კაბარში ხაზოეთო საზოგადოებრივი, კულტურული, უწყისო, რედაქციასა შემოხული მისაღები ავტორებს უყან არ უბრუნდება.

ჩვენს ხაზოეთო 66-400

რედაქციური
 პარაპ პალარაქოვილი

რედაქციის მისამართია:
 1. თბილისი — 380096.
 2. კოსტავას ქ. № 14.